

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს  
სხდომის ოქმი № 47

ქ. თბილისი

31.10.2018

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;

ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის თავმჯდომარე, ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; სხდომის მდივანი;

სოფიკო ლობჟანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული დეპარტამენტის განათლების სკოლის ხელმძღვანელი; გიორგი ქვარცხავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი; ირინა გოცირიძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი

გილა გელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი;

გიორგი თურქია - ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი პროფესორი; ნათელა სახოვა - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის გამგეობის წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;

ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

- ანზორ ბერიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- ვლადიმერ ღლონტი - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი;
- ასიე ცინცაძე - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
- რეზო მანველიძე - პროგრამის თანახელმძღვანელი.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:

გიორგი ღადანიძე;

ეკა დევიძე;

ბექა მარუაშვილი;

ანა მიხელიძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>2</sup> მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა. სხდომის მდივნის ფუნქცია აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომის თავჯდომარის გადაწყვეტილებით დაევისრა საბჭოს წევრს - ლევან გორდეზიანს.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>2</sup> მუხლის მე-5 შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27<sup>5</sup> მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.



საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური გეოგრაფიისა და გარემოს მდგრადი განვითარების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

ცენტრის წარმომადგენელმა, მაია გელაშვილმა დააყენა შუამდგომლობა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის შედეგების განხილვა არ მომხდარიყო, რადგან განხილვისას, საბჭოს 3 წევრი განაცხადებდა თვითაცილებას, ვინაიდან დასაქმებულები გახლდნენ აღნიშნულ უნივერსიტეტში. შესაბამისად, მოცემულ ვითარებაში ვერ შედგებოდა ქვორუმი, რაც აუცილებელი პირობაა საკითხის განსახილველად.

საწინააღმდეგო პოზიცია არ დაფიქსირებულა და საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი შემდეგი სახით:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.



1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
კვალიფიკაციის კოდის მითითებით	02
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებით არსებულ დასკვნაში ასახულ გარემოებებზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გიორგი ღალანიძემ ისაუბრა აკრედიტაციის ვიზიტის მიმდინარეობაზე და აღნიშნა, რომ ვიზიტი განხორციელდა საქმიან და კოლეგიალურ ვითარებაში. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით. შეხვედრების მონაწილე თვითოეული პირი მაქსიმალურად ცდილობდა ეთანამშრომლა ექსპერტებთან. საბოლოო ჯამში, პროგრამის სტანდარტები და კომპონენტები შემდეგნაირად იყო შეფასებული: კერძოდ, პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე სტანდარტი მეტწილად შეესაბამებოდა მოთხოვნებს, ხოლო მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაში იყო მოთხოვნებთან. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აქვე სურდა განმარტება გაეკეთებინა პროგრამის

სტრუქტურის შესახებ. პროგრამის შედგენისას მოხდა რამდენიმე პროგრამის გაერთიანება. დაწესებულება აკრედიტებულ რეჟიმში ახორციელებდა ბიზნესის ადმინისტრირების დარგების ცალკეულ საგანმანათლებლო პროგრამებს. შემდეგ ეს პროგრამები გაერთიანდა ერთ პროგრამად, რომელიც იყო წარმოდგენილი საკრედიტაციოდ. ასეთი გაერთიანების დადებითი და უარყოფითი მხარეები ყოველთვის აისახებოდა ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსში. ექსპერტების ზოგი რეკომენდაცია გამოწვეული იყო პროგრამების გაერთიანების შედეგად ზოგიერთი არასწორი მიდგომის არსებობით. პირველი რეკომენდაცია ეხებოდა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნის დახვეწას. კერძოდ, მიზანშეწონილი იყო მომხდარიყო მიზნის ფორმულირება უფრო მარტივი და გაზომვადი ფორმით. ამასთან ერთად, მიზნიდან უნდა გამორიცხულიყო ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობისათვის შეუსაბამო აქტივობები. აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ექსპერტმა გააკეთა განმარტება. სწორედ ამ გაერთიანების შედეგად პროგრამებიდან გადმოტანილი იქნა ცალკეული მიზნები და გაერთიანდა (რაც ეხებოდა მარკეტინგს, ფინანსებს და ბიზნესის ადმინისტრირების სხვა დარგებს) რამაც ეს მიზანი ამორფული გახადა. მიზნის ზოგიერთი შემადგენელი ნაწილი უფრო შეესაბამებოდა ეკონომიკას, ვიდრე ბიზნესის ადმინისტრირებას.

შემდეგი რეკომენდაციის მიხედვით, მიზანშეწონილი იყო ჩატარებულიყო შრომის ბაზრის ფართომასშტაბიანი კვლევა, სადაც დამსაქმებელთა გამოკითხვა იქნებოდა კვლევის ერთ-ერთი ნაწილი. ძირითადი აქცენტი გადატანილი იყო დამსაქმებელთა გამოკითხვაზე, რაც არ გახლდათ საკმარისი. ამასთან, აღსანიშნავი იყო ერთი გარემოება, რომ პროგრამაში ჩართული ყველა დამსაქმებელი გახლდათ დამსაქმებელი რეგიონის მასშტაბით. უნივერსიტეტი კარგად აცნობიერებდა, რომ გახლდათ სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელი ინსტიტუცია, ამიტომ, რეგიონის მასშტაბით არ უნდა შემოფარგლულიყო. ბაზრის კვლევის პოტენციალი გაცილებით ფართო უნდა ყოფილიყო. თუნდაც არ მოეცვა მთელი საქართველო, მაგრამ შეიძლებოდა მოეცვა მაგალითისათვის - დასავლეთ საქართველო.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაგრძო რეკომენდაციების გაცნობა და აღნიშნა, რომ მიზანშეწონილი იყო განხორციელებულიყო ინტერნაციონალიზაციის უფრო ქმედითი აქტივობები. სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულიყო მთლიანად პროგრამის მიხედვით, ყოფილიყო გაზომვადი და რეალისტური. რეკომენდირებული გახლდათ უნივერსიტეტს გაეძლიერებინა ძალისხმევა დაინტერესებული მხარეების, კერძოდ სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულობის კუთხით. მიზანშეწონილი იყო პროგრამის ხელმძღვანელების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის (სილაბუსის ავტორები) ურთიერთშეთანხმებით გათვალისწინებული ყოფილიყო სასწავლო კურსებში „შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები“. კერძოდ, შემდეგ კურსებში: ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები, შრომის ბაზრის ანალიზი, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები, ეფექტიანობის აუდიტი, თანამედროვე საბანკო სახაზინო საინფორმაციო სისტემები და ტექნოლოგიები და ა.შ. მიზანშეწონილი იყო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად დაწესებულების



ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი განახლებულიყო უახლესი გამოცემებით და სტუდენტისათვის მიზოდებული სასწავლო მასალა დაფუძნებოდა დარგის/მიმართულების/სფეროს აქტუალურ მიღწევებს. მიზანშეწონილი იყო გაზრდილიყო სტუდენტების ჩართულობა გაცვლით პროგრამებსა და კონფერენციებში. მიზანშეწონილი იყო უსდ-ს/ფაკულტეტს პერმანენტულად უზრუნველეყო აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის ინგლისურ ენაში (საკომუნიკაციო დონეზე ფლობის/სამეცნიერო ლიტერატურისა და წყაროების დამუშავების კომპეტენცია და ა.შ.) გრძელვადიანი ტრენინგებისა და workshop-ების შეთავაზება. აღნიშნული ინიციატივა ხელს შეუწყობდა დაწესებულების პერსონალს კომპეტენციებისა და უნარების გაღრმავებაში, რაც თავის მხრივ შესაძლებლობას მისცემდა პროგრამაში ჩართულ პერსონალს მონაწილეობა მიეღო უფრო მეტ საერთაშორისო კონფერენციასა და გაცვლით პროგრამაში; შეძენილი ცოდნა გაეზიარებინა სტუდენტებისათვის და დაეგეგმა ერთობლივი პროექტები. მიზანშეწონილი იყო საბაკალავრო პროგრამის სპეციფიკადან გამომდინარე ფაკულტეტს შეემუშავებინა ფინანსური გეგმა (ზიუჯეტი), სადაც აისახებოდა პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის წყაროები, როგორც პერიოდული, ასევე ერთჯერადი. ამასთან, სასურველი იყო ბიუჯეტში ხარჯვითი ლიმიტი გამოყოფილიყო ცალკეული კომპონენტების გათვალისწინებით. კერძოდ, ხარჯები პრაქტიკა/სტაჟირება სტუდენტებისათვის, სასწავლო/პროგრამული და კვლევითი (სტუდენტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი) მიზნებისათვის და ა.შ. მიღებული პრაქტიკის მიხედვით, პროგრამა ფინანსდებოდა დაწესებულების ერთიანი ბიუჯეტიდან. დაწესებულებასთან ვიზიტის მსვლელობის დროს საუბარი მიმდინარეობდა ბიუჯეტის საკითხთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფი არ სვამდა საკითხს, რომ პროგრამის ფინანსური მდგრადობა იყო კითხვის ნიშნის ქვეშ. მაგრამ, ფინანსირების კომპონენტები კარგად უნდა ყოფილიყო გაწერილი ინტერნაციონალიზაციის გაღრმავებისათვის და პერსონალის განვითარების მხარდაჭერისათვის.

რაც შეეხებოდა რჩევებს, ეხებოდა პროგრამის გარე შეფასების ინტენსიურობას და სწავლების პრაქტიკული კომპონენტების გაძლიერებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს გამოეთქვათ თავისი მოსაზრებები.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფრომა, ანზორ ბერიძემ განაცხადა, რომ სურდა ზოგადად საუნივერსიტეტო მიდომების გაცნობა საბჭოსათვის, ხოლო დეტალებზე ისაუბრებდნენ ფაკულტეტის წარმომადგენლები. მან გამოხატა დადებითი პოზიცია ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციების/რჩევების მიმართ. დასკვნის მიხედვით საბჭოსთვის ცნობილი იყო, რომ პროგრამა შემუშავებული გახლდათ 4 პროგრამის ინტეგრირების შედეგად. უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად დაწესებულებაში უნდა მომხდარიყო პროგრამების გამსხვილება. პროგრამების მიზნები შესაბამისობაში იყო დაწესებულების მისიასთან. წინა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები გათვალისწინებული გახლდათ. მაგალითისათვის შეეძლო მოეყვანა




მათემატიკური აპარატის გაძლიერება. ამ ეტაპზე დაწესებულების მიდგომების შესაბამისად, შესაბამისი სამუშაოები გატარდება მიმდინარე სააკრედიტაციო პროცესის ექსპერტთა რეკომენდაციების შესრულებისათვის.

დაწესებულების ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა, ვლადიმერ ღლონტმა საბჭოს გააცნო თავისი მოსაზრებები. მან აღნიშნა, რომ პირველი რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამის მიზნებს. დაწესებულებაში ამჟამად ფუნქციონირებდა ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების 4 პროგრამა. ესენი გახლდათ: ფინანსები, საბუღალტრო აღრიცხვა, მარკეტინგი და მენეჯმენტი. 2011 წელს, როდესაც გაიარეს ამ პროგრამების აკრედიტაცია, მაშინ იყო გაცემული რეკომენდაცია, რომ დაწესებულებას ეფიქრა ამ პროგრამების ინტეგრირებაზე. თუმცა იმ ეტაპზე მათ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ პროგრამების ცალკე ფუნქციონირება შეენარჩუნებინათ დარგების დონეზე. მაგრამ, ბოლო წლებმა რეალურად აჩვენა, რომ უნდა გაზრდილიყო პროგრამების სტრუქტურირების ხარისხი, გამორიცხულიყო გარკვეული დუბლირებები და გაძლიერებულიყო პროგრამები როგორც ფინანსური, ასევე აკადემიური პერსონალის ერთიანობის თვალსაზრისით. ამიტომ, წარმოედგინეს აღნიშნული პროგრამა ერთიანი სახით. ისინი მსჯელობდნენ როგორი უნდა ყოფილიყო პროგრამა. რა თქმა უნდა მათი ამოცანა არ იყო, რომ მოეხდინათ პროგრამების მექანიკური გაერთიანება. პროგრამები გააერთიანეს და წარმოადგინეს წინა პროგრამების გამოცდილების გათვალისწინებით. შესაბამისად, მიზნები, რომელიც პროგრამაში განსაზღვრეს, არ იყო ხელოვნურად ჩასმული ახალი პროგრამის მიზანში და ჩამოაყალიბეს გარკვეული ლოგიკის გათვალისწინებით ყველა კომპონენტის აწონდაწონვის საფუძველზე. ამის ერთ-ერთ მაგალითად სურდა მოეყვანა, რომ ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის მიზანი გახლდათ მოემზადებინა სპეციალისტი, რომელიც შეძლებდა თანამედროვე ცოდნისა და პროფესიული მიდგომების გამოყენებით მიეღო მონაწილეობა მმართველობით საქმიანობაში ბიზნესის ადმინისტრირების ძირითად ფუნქციონალურ მიმართულებებში და შემდეგ მიზანში ჩამოთვალეს ის მოდულები (ფინანსები, მენეჯმენტი, მარკეტინგი, საბუღალტრო აღრიცხვა), რომლებიც ადრე წარმოადგენდნენ ცალკეულ პროგრამებს. შესაძლებელია ამან გააჩინა ის მოსაზრება, რომ გარკვეულწილად ხელოვნური გაერთიანების შედეგად მოხდა მიზნის ფორმირება. მიზანთან მიმართებაში მას ასევე სურდა გაემახვილებინა ყურადღება შემდეგ საკითხზე. ექსპერტებმა ყურადღება გაამახვილეს იმ საკითხებზე, რომლებიც მათი მოსაზრებით ეკონომიკასთან კვეთაში გადადიოდა. პროგრამის მიზანი ჩამოყალიბებული იყო შემდეგი სახით: სტუდენტს ექნებოდა თეორიული და სპეციალური ცოდნა ფინანსების, მარკეტინგის, მენეჯმენტისა და საბუღალტრო აღრიცხვის სფეროში, რომელიც კონცენტრირებული იქნებოდა სამეწარმეო და მაკროეკონომიკური ციკლის სხვადასხვა ეტაპზე მმართველობითი ტექნოლოგიების გამოყენების სპეციფიკაზე. შესაბამისად, ამ მმართველობითი სპეციფიკის გამოყენებამ როგორც მიკროდნეზე, ასევე მაკროდონეზე განაპირობა ის, რომ პროგრამაში გაჩნდა ცალკეული სასწავლო კურსები, რომელიც აღჭურვილი იყო მმართველობითი ტექნოლოგიების შინაარსობრივი საკითხებით. რაც შეეხებოდა შრომის ბაზრის ანალიზს, ბუნებრივი იყო მათ ამ პროგრამის მომზადებისას ჩაატარეს დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვა.



ასევე, ტარდებოდა დამსაქმებლებთან ინტერვიუები, გარდა ამისა, ყოველწლიურად ატარებდნენ დამსაქმებელთა ფორუმებს (ბოლო გახლდათ 2017 წლის ივლისში), სადაც დამსაქმებელთა საჭიროებებს არკვევდნენ. თუმცა, საბოლოო ჯამში ექსპერტთა რეკომენდაცია შრომის ბაზრის გაფართოებასთან/მასშტაბის ზრდასთან დაკავშირებით მისაღები იყო, ამავდოულად ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ის ტექნოლოგიები, რომელსაც იყენებდნენ, აძლევდათ შესაძლებლობას დაედგინათ პრიორიტეტები, რომლებიც ჰქონდა შრომის ბაზარს. რაც შეეხებოდა პროგრამების შედეგების გაერთიანებას. პროგრამის სტრუქტურის მიხედვით, 105 კრედიტი გახლდათ ზოგადი მოდული, რომელიც სავალდებული სახით ისწავლებოდა სამი სემესტრის განმავლობაში. მე-4 სემესტრიდან სტუდენტები ირჩევდნენ სპეციალიზაციის მოდულს, ეს გახლდათ ფინანსები, საბუღალტრო აღრიცხვა, მენეჯმენტი და მარკეტინგი, რომლებსაც სწავლობდნენ მე-8 სემესტრის ბოლომდე. ბუნებრივი იყო, რომ იმ მოდულს, რომელსაც აირჩევდნენ, უნდა გაეყვანა სტუდენტი გარკვეულ სწავლის შედეგზე. ეს შედეგები ჰქონდათ შესაბამისად აღწერილი. ცალკეული მოდულისათვის სხვადასხვა იყო ცოდნა, გაცნობიერება და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. ხოლო დანარჩენი 4 შედეგი პროგრამისათვის იყო ერთიანი. ამიტომ, ის ფიქრობდა, რომ პროგრამის დადებითი შესახვები წარმოადგენდა, რომ მათ დაკონკრეტებული ჰქონდათ მოდულის გავლის შემდეგ რა შედეგზე უნდა გასულიყო სტუდენტი. ასევე იყო რეკომენდაცია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში ისინი მუშაობდნენ ხარისხის სამსახურთან ერთად და ეს რეკომენდაციას გახლდათ მისაღები. რაც შეეხებოდა სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობებს. მათ გაიზიარეს რეკომენდაცია და „საბაჟო საქმის“ კურსს წინაპირობად განესაზღვრა - „საგადასახადო საქმე“. სასწავლო კურსის „თანამედროვე საბანკო-სახაზინო სისტემები და ტექნოლოგიები“ დაშვების წინაპირობად „საბანკო საქმე 2“ განსაზღვრეს. „ეფექტიანობის აუდიტათან“ მიმართებაში ასევე განისაზღვრა დაშვების წინაპირობად - „აუდიტის საფუძვლები“. აღნიშნული ცვლილებები დაწესებულების აკადემიურ საბჭოზე იქნება გატანილი. ბიბლიოთეკაში ლიტერატურის განახლების და ასევე ინტერნაციონალიზაციის საკითხთან მიმართებაში შესაძლებელია ითქვას, რომ ეს იყო ისეთი მიზნები, რომლისკენაც დაწესებულება მიდიოდა და ჯერ საბოლოო შედეგისათვის არ ჰქონდა მიღწეული. თუმცა ჰქონდათ გარკვეული განვითარების დონეს მიღწეული. ისინი არ კმაყოფილდებოდნენ და ცდილობენ, ყოველწლიურად მოხედინათ ბიბლიოთების ფონდის განახლება და საერთაშორისო მობილობის გაძლიერება როგორც სტუდენტთათავის, ასევე პერსონალისათვის. ბიუჯეტთან მიმართებაში შესაძლებელი იყო ეთქვა, რომ ამ რეკომენდაციის შემოთავაზება ძალიან საინტერესო გახლდათ, მაგრამ დღევანდელ რეალობაში უნივერსიტეტის შემოსულობების და გადასახადების აკუმულირება ხდებოდა უნივერსიტეტის ერთიან ბიუჯეტში. ამ ბიუჯეტის ერთიანი ფორმის შემუშავებაში მონაწილეობდა წარმომადგებლობითი საბჭო, სადაც ფაკულტეტის ინტერესების წარმომადგენელი იყო ფაკულტეტიდან არჩეული პირი. ამ შემთხვევაში ეს გახლდათ მონაწილეობა ერთიანი ბიუჯეტის ფორმირებაში. განიხილებოდა, ლიმიტების სახით კონკრეტულად, თუ რა რესურსი უნდა ყოფილიყო გამოყენებული წიგნადი ფონდისათვის, ინტერნაციონალიზაციისათვის და სხვა აქტივობისათვის. ამ რეკომენდაციის გათვალისწინება უნივერსიტეტის,



ფაკულტეტის/პროგრამის დამოუკიდებლობის ხარისხს გაზრდიდა, რაც იყო დადებითი ფაქტორი, თუმცა აქამდე მისასვლელად გზის გავლა იყო საჭირო. უნდა შეცვლილიყო უნივერსიტეტში არსებული ნორმატიული აქტები და ის წესი შეიცვლებოდა, რომელიც საბიუჯეტო პროცესთან იყო დაკავშირებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით ხაზგასმით აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ საკითხისადმი მიდგომა იყო საქმიანი, მათ მიერ გაცემული რეკომენდაციები დაწესებულებისათვის იყო მისაღები და რეკომენდაციების შესრულება პროგრამის განვითარებას შეუწყობდა ხელს.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ როგორც ზეპირი მოსმენის მიმდინარეობის დროს გამოვლინდა, უნივერსიტეტში მოხდა აქამდე არსებული ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების 4 საგანმანათლებლო პროგრამის გაერთიანება და მის ბაზაზე ახალის შექმნა. ახალი პროგრამის სტრუქტურის მიხედვით პროგრამაში წარმოდგენილი იყო დარგობრივი არჩევითი მოდულები და სწავლის შედეგები გაწერილი იყო ამ მოდულების შესაბამისად. იგი დაინტერესდა, თუ რა აზრი ჰქონდა პროგრამების გაერთიანების პირობებში, ახალი პროგრამის სტრუქტურაში ცალკეული დარგობრივი მოდულების მიხედვით სწავლის შედეგების წარმოდგენას. გარკვეულწილად ესეთი ქმედება უნივერსიტეტის მხრიდან პროგრამების მექანიკურ გაერთიანებას წააგვდა.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ანზორ ბერიძემ განმარტა, რომ პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებდა საერთო მიზანს და სწავლის შედეგს. უფრო დეტალურად განმარტებისათვის, პროგრამაში არსებობდა ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების სავალდებულო სასწავლო კურსები, რომლის დასრულების შემდეგ სტუდენტი მირჩევდა მისთვის სასურველ ერთ-ერთ დარგობრივ მოდულს შესასწავლად, შესაბამისად, პროგრამაში წარმოდგენილი დარგობრივი მოდულები არ აკნინებდა პროგრამის შედეგებს. თუ საერთო მიზნები იყო მისაღები, მოდულის შესწავლის მიზანი იყო დარგის შესაბამისად სწავლის შედეგზე გასვლა.

დაწესებულების ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა, ვლადიმერ ღლონტმა დამატებით განმარტა, რომ 4 პროგრამის დამოუკიდებლად არსებობის პირობებში, ისწავლებოდა საერთო სასწავლო კურსები, რომლებიც ახლა პროგრამაში წარმოდგენილი იყო მიმართულების სავალდებულო სასწავლო კურსების სახით. თვითონეული საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია იყო ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი და შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ დამსაქმებელს არ ჰქონდა მოთხოვნა, რომ კურსდამთავრებული ბიზნესის ადმინისტრირების კონკრეტულ დარგში ყოფილიყო სპეციალიზირებული, მას შეეძლო ემუშავა ბიზნესის ადმინისტრირების რომელიმე სფეროს შესაბამის პოზიციაზე. საბაკალავრო დონეზე შესაძლებელი იყო სტუდენტისათვის შესაბამის სფეროში ფართო ცოდნის მიცემა. შესაბამისად, ამ პროგრამის სტრუქტურირების ხარისხი მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა და ასევე გაიზრდებოდა ფინანსური და ეკონომიკური ეფექტიანობა, 4 პროგრამის ნაცვლად ერთი სტრუქტურიზებული პროგრამის არსებობის პირობებში. ამ ორმა პრაგმატულმა მიზეზმა განაპირობა არსებული პროგრამების გაერთიანება. დამსაქმებელთან ურთიერთობისას გამოიკვეთა, რომ მაგალითისათვის ფინანსების პროგრამის



კურსდამთავრებული (რომელსაც ენიჭებოდა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი), საქმდებოდა მენეჯმენტის მიმართულებით.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ შენიშნა, რომ ეს რისკი ისევ იარსებებდა, ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამის სტუდენტს ახლაც შეეძლო შესასწავლად აერჩია ერთი მოდული და ემუშავა ბიზნესის სხვა ფუნქციონალურ სფეროში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გიორგი დაღანიძემ დამატებით განმარტა, რომ დაწესებულებაში ვიზიტის მიმდინარეობისას მათი საუბრები წარიმართა სწორედ ასეთი მიმართულებით. ამ შემთხვევაში აკრედიტაციის საბჭოს და ექსპერტთა ჯგუფის კითხვები და მოსაზრებები ემთხვეოდა ერთმანეთს. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამას ენიჭებოდა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის კვალიფიკაცია დარგის მითითებით, მაშინ პროგრამის მიზანი ფორმირებული უნდა ყოფილიყო კვალიფიკაციის შესაბამისად. ზოგადად, იმ შემთხვევები, თუ პროგრამის კვალიფიკაცია იყო ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი, მაშინ პროგრამაში შესაძლებელია ყოფილიყო დარგობრივი მოდულები და სტუდენტს მისცემოდა შესაძლებლობა, რომ აერჩია მისი ინტერესის საგნები სხვადასხვა მოდულიდან. დაწესებულებას სურდა მიეღწია საუკეთესო ვარიანტისათვის, პროგრამა გაეერთიანებინა და ამავდროულად, მიზნები იგივე დაეტოვებინა, როგორც ის იყო ცალკეული პროგრამის შემთხვევაში. ამ შემთხვევაში ექსპერტთა მოსაზრებით, ან ერთი პროგრამა უნდა ყოფილიყო საერთო მიზნებით, ან ცალკეული.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ანზორ ბერიძემ დამატებით განმარტა, რომ ის მიზნები, რაც წარმოადგენდა სავალდებული მოდულის სწავლების მიზნებს, ეს გახლდათ სტანდარტიდან გამომდინარე აღწერილი და ფორმირებული პროგრამაში.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ მაგალითად იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი მე-4 სემესტრში შესასწავლად აირჩევდა ერთ-ერთ მოდულს და შემდეგ მოისურვებდა სხვა მოდულზე სწავლის გაგრძელებას, მათი პროგრამა ამის საშუალებას არ აძლევდა. გაერთიანებული პროგრამის პირობებში კარგი იქნებოდა სტუდენტს სასურველი მოდულის არჩევის პარარელურად ჰქონდა შესაძლებლობა აერჩია თავისთვის სასურველი საგნები და თვითონ შეედგინა მისთვის სასურველი საგნების ნუსხა.

დაწესებულების ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა განაცხადა, რომ ასეთი მოდელის არსებობის პირობებში, მოდულების შეთავაზებაზე უნდა ეთქვათ უარი და ერთიანი სტრუქტურის პროგრამა შეემუშავებინათ.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ კიდევ გაიმეორა, რომ მისი მოსაზრებით, კარგი იქნებოდა სტუდენტს შეძლებოდა თვითონ შეედგინა მოდული მისთვის სასურველი კომპონენტების შესაბამისად. რაც საბოლოოდ სტუდენტის სწავლას უფრო მობილურს და მის შეხედულებებზე მორგებულს გახდიდა.

საბჭოს წევრმა სოფიკო ლობჟანიძემ განაცხადა, რომ ასეთი მოდელის შეთავაზების პირობებში, უნდა განესაზღვრათ სავალდებულო და არჩევითი დარგობრივი კურსები.

საბჭოს წევრმა გიორგი ქარცხავამ გამოთქვა მოსაზრება, რომ თუ არჩევით მოდულებს არ შესთავაზებდნენ და პროგრამაში იქნებოდა ცალკეული არჩევითი კომპონენტები,



შესაძლებელი იყო სტუდენტს არასისტემური სახით აერჩია კომპონენტები და ამ შემთხვევაში, ვერ გავიდოდა სწავლის შედეგზე.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ განმარტა, რომ ამ შემთხვევაში აუცილებელია საერთო სავალდებულო მოდულის არსებობა, რომლის საშუალებითაც სტუდენტები გავიდოდნენ სწავლის შედეგზე.

საბჭოს წევრი გიორგი ქვარცხავა დაინტერესდა, თუ რა სახით იქნებოდა შესაძლებელი სტუდენტთა გადანაწილება მოდულებზე.


დაწესებულების ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა ისაუბრა დაწესებულებაში არსებული პროცედურების შესახებ და აღნიშნა, რომ გადანაწილების წესი მიღებული იყო აკადემიური საბჭოს მიერ. კერძოდ, მესამე სემესტრის დასრულების შემდეგ სტუდენტი აკეთებდა წერილობით განაცხადს თუ რომელ მოდულზე სურდა სწავლის გაგრძელება, ამას წინ უსწრებდა ის პროცესი, რომ ფაკულტეტის საბჭო განსაზღვრავდა თვითონეული მოდულისათვის კონტიგენტს, პროგრამაზე მისაღები საერთო რაოდენობის ფარგლებში.

საბჭოს წევრი გიორგი თურქია დაინტერესდა პროგრამაზე მისაღები სტუდენტთა რაოდენობის შესახებ.

დაწესებულების ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა აღნიშნა, რომ ბიზნესის მიმართულების პროგრამაზე ღებულობდნენ 175 სტუდენტს, კონტიგენტს გასაზღვრავდნენ წინასწარ, კერძოდ, 70 ადგილი გამოყოფილი იყო ფინანსებისათვის, 50 ადგილი - მენეჯმენტისათვის, 45 - საბუღალტრო აღრიცხვისა და 20 ადგილი - მარკეტინგისათვის. სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრა ხდებოდა დაწესებულებაში დადგნილი წესის შესაბამისად და იყო ბმაში აკადემიური პერსონალის რაოდენობასთან და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსთან. შესაბამისად, ეს რიცხვები არ იყო დადგნილი პირობითი შერჩევით და ემყარებოდა კონკრეტულ გათვლებს. სტუდენტს არჩევანის გაკეთება შეეძლო იმ პირიცის შესაბამისად, რაც არსებობდა ერთიანი ეროვნული გამოცდების დროს. შეეძლო არჩევანის დროს პრიორიტეტებად დაელაგებინა მისთვის სასურველი არჩევანი და მისი მონაცემებიდან გამომდინარე განიხილებოდა შესაბამის მოდულზე სწავლის გაგრძელების საკითხი. მოდულზე დაშვების წინაპირობა იყო მირითადი სავალდებულო შესაბამისი საგნის/საგნების გავლა. მაგალითისათვის, რომ გაეგრძელებინა სწავლა საბუღალტრო აღრიცხვის პროგრამაზე, გავლილი უნდა ჰქონოდა ფინანსების საფუძვლები. ხოლო მოდულზე სტუდენტი ირიცხებოდა თავისი რეიტინგის შესაბამისად.

საბჭოს წევრმა სოფიკო ლობჟანიძემ იკითხა, თუ როდის გადიოდა სტუდენტი სწავლის შედეგებზე, მირითად მოდულის დამთავრების შემდეგ, თუ რა პერიოდში.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ანზორ ბერიძემ განმარტა, რომ მირითად სწავლის შედეგებზე სტუდენტი გადიოდა მირითადი მოდულის დასრულების შემდეგ. ამ შემთხვევაში შესაძლებელი იყო გატარებული ყოფილიყო 2 მიდგომა. ერთი, სტუდენტს ჰქონოდა აბსოლიტური თავისუფლება და აერჩია მისთვის სასურველი ცალკეული კომპონენტები, და მეორე, აერჩია ერთ-ერთი მოდული სწავლის გაგრძელების მიზნით. სტუდენტს სხვადასხვა კომპონენტები რომ აერჩია, შესაძლებელი იყო ვერც დაეგეგმა თავისი პროფილი, რადგან ექნებოდა წინაპირობების დაცვის პრობლემა. მოდული წარმოადგენდა



კომპონეტების გაერთიანებას, რომელშიც თანმიმდევრულად იყო კურსები წარმოდგენილი წინაპირობების გათვალისწინებით. ამჟამად მისაღები რაოდენობა დადგენილი ჰქონდათ, ხოლო შემდგომში მისაღები ადგილები შესაძლებელი იყო განეხილათ სტუდენტთა მოთხოვნის გათვალისწინებით. თუმცა არსებულ აკადემიურ რესურსს ვერ გაცდებოდნენ, მაგალითისათვის, მარკეტინგის მოდულზე ვერ მოემსახურებოდნენ 50 სტუდენტს.

საბჭოს წევრმა სოფიკო ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ ისინი არ იყვნენ სტუდენტთა ინტერესებზე ორიენტირებული, იყვნენ დამოკიდებული/ორიენტირებული საკუთარ შესაძლებლობებზე. თუმცა არსებულ აკადემიურ სივრცეში უპირატესი იყო სტუდენტთა ინტერესებზე ორიენტირებულობა.

დაწესებულების ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დევანმა განაცხადა, რომ წლევანდელი მისაღები გამოცდების შედეგების შესაბამისად (ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების ცალკეულ საგანმანათლებლო პროგრამებზე) განაცხადებისა და ჩარიცხვების რაოდენობის ანალიზი ადასტურებდა იმ რაოდენობების მოთხოვნას, რომელიც მან აღნიშნა ცალკეული მოდულებისათვის.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ანზორ ბერიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომლის განსაზღვრის დროს მონაწილეობდა შემდეგი მაჩვენებლები: აკადემიური რესურსი, მატერიალურ - ტექნიკური ბაზა, გათვალისწინებული იყო ასევე მოთხოვნა ერთიან ეროვნულ გამოცდაზე, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები (შესაძლებლობების ფარგლებში). ისინი წლების განმავლობაში აკვირდებოდნენ თვითონაული მიმართულებაზე კადრების მოთხოვნას. შესაძლებელია ლოგიკური ყოფილიყო ადგილების რაოდენობის შუალედის განსაზღვრა. მაგალითად, მოთხოვნის შესაბამისად შესაძლებელი ყოფილიყო 60-დან 70- სტუდენტამდე მიღება/მომსახურება. მაგრამ, მოთხოვნა რომ ყოფილიყო უფრო მეტ რაოდენობაზე, მათი რესურსების გათვალისწინებით ვერ შეძლებდნენ მომსახურებას. ეს ლოგიკურიც გახლდათ, რესურსებზე იყვნენ დამოკიდებულნი.

საბჭოს სხდომაზე 14:42 საათზე გამოცხადდა შესვენება.

საბჭოს სხდომა განახლდა 14:55 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0



გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3<sup>1</sup> პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭომ დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განუსაზღვრა 1 წელი და 6 თვე.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე განაცხადა, რომ საბჭო შუამდგომლობდა ცენტრის წინაშე, რომ 1 წლისა და 6 თვის ვადაში განხორციელებულიყო პროგრამის მონიტორინგი აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დაწესებულებაში ვიზიტის განხორციელებით იმ მიზნით, რომ გადამოწმებულიყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული რეკომენდაციების შესრულება დაწესებულების მხრიდან.

15:10 საათზე დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდგომ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე  
ირაკლი ბურდული

სხდომის მდივანი  
ლევან გორდეზიანი